**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კაპოეტის ციხე

კაპოეტის ციხე, ისტორიული ციხესიმაგრე მდინარე ბზიფის ხეობაში. ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დგინდება. შესაძლოა ეს იყოს გაგრის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფ. ბზიფის IX–X სს. ციხესიმაგრე. აქ თავი შეაფარა არაბებისაგან დევნილმა სომხეთის მეფე სუმბატმა, რ-იც 914 იძულებული შეიქნა დანებებოდა აბულ კასიმს.

*წყარო:* მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

***თ. ბერაძე***